



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 115

2014 წლის 24 ნოემბერი

ქ. თბილისი

„აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF –Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსათვის“ ფარგლებში ერთობლივი სამეცნიერო-საგრანტო კონკურსის „ახალგაზრდა ქართველ მეცნიერთა მხარდაჭერა“ დაფინანსებული პროექტების წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალისა და საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების ვადების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 19 ნოემბრის N114 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის წერილის (ფონდში რეგისტრირებულია N936913. 24.11.2014) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF –Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსათვის“ ფარგლებში ერთობლივი სამეცნიერო-საგრანტო კონკურსის „ახალგაზრდა ქართველ მეცნიერთა მხარდაჭერა“ დაფინანსებული პროექტების წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალისა და საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების ვადების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 19 ნოემბრის N114 ბრძანების:

ა) პირველ პუნქტში და საგრანტო ხელშეკრულების გასაფორმებლად ფონდში დოკუმენტების წარმოდგენის ბოლო ვადა განისაზღვროს 2014 წლის 26 ნოემბერის 18 საათის ჩათვლით;

ბ) მე-2 პუნქტში და საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების ვადა განისაზღვროს 2014 წლის 2 დეკემბრის ჩათვლით.

2. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს (თ. ბოკუჩავას) წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება.

3. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთთვიან ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი

